შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№16 (9.581)

4–11 მაისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

თანამემამულეებო, 2013 წელი იწურება იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომიდან, მაგრამ სრულიად საქრისტიანო დღესაც დიდი სიხარულით ხვდება ამ დღესასწაულს.

იესო ქრისტემ ქვეყნიურ ცხოვრებაში უამრავი სასწაული მოახდინა,მაგრამ სიდიდითა და ღვთიურობით აღდგომა ყველა სასწაულზე მაღლა დგას. წმ. იოანე ოქროპირის „სააღდგომოში“ ვკითხულობთ: „ნუვინ ზრუნავნ სიგლახაკესა, რამეთუ გამოსჩნდა ყოველთათვის სასუფეველი. ნუვინ ჰგოდებნ ცოდვათათვის, რამეთუ შენმდობელი ჩუენი აღმობრწყინდა საფლავით. ნუვინ ჰსძრწინ და ეშინინ სიკვდილისაგან, რამეთუ განმათავისუფლა ჩუენ სიკვდილმან მაცხოვრისამან და დაშრიტა მათთვის, რომელნი პყრობილ იყვნეს მისგან“... აღდგომით უფალმა თვით სიკვდილი დაამარცხა და ამიტომაცაა ეს დღე სიმბოლო სიკვდილის დამარცხებისა და კეთილის ბოროტზე გამარჯვებისა. თითქმის თვრამეტი საუკუნეა, რაც ჩვენი ერი ქრისტეს სიყვარულით აშენებს ქვეყანას და იგერიებს მტერს. ქრისტიანობამ საქართველო იმ ნათელი სხივით „დადაღა“, რომელიც ჩვენს სამშობლოს სამუდამო დაცემისა და გაქრობის საშუალებას არასდროს მისცემს. ამაშია ჩვენი ერის სიძლიერე და ამიტომაც გვიყვარს გამორჩევით საუფლო დღეები, განსაკუთრებით კი აღდგომა.

გილოცავთ ამ უდიდეს დღესასწაულს. უფალმა მოგვმადლოს ყოველი სიკეთე და სათნოება. მრავალი აღდგომა გვეზეიმოს წარმატებულ და განახლებულ დედოფლისწყაროში.

ქრისტე აღსდგა!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლი ირაკლი შიოლაშვილი

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! — ასე ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უსწრებს სააღდგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვამზადებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. იგი აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სავსე მთვარის პირველ კვირა დღეს. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 5 მაისს ულოცავენ ერთმანეთს.

ეკლესია ყოველ ქრისტეს წინასწარმეტყველება: “მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები”. კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: “მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები”. კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: “მარიამ!” მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: “აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა”. მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა - ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონობისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი — მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასქა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: “მე ვარ პური ზეცით გარდამოსული”.

ქრისტე აღდგა!!!

ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს-უდიდეს დღესასწაულს ქრისტიანულ სამყაროში.

აღდგომა ნიშნავს სიცოცხლეს, იმედს, ნიშნავს, რომ სიკვდილი და ცოდვა დამარცხდა. აღდგომა ნიშნავს, რომ ადამიანის გულის სიღრმეში მოკიაფე სურვილი, — და ეს მუდამ სიცოცხლის სურვილია- გაიმარჯვებს. იესოს სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის წყალობით, ჩვენს სიკვდილზეც იზეიმებს გამარჯვებას. „ძვირფასო ძმებო და დებო, მაშ, ნუ შეგეშინდებათ და მოიქეცით პეტრეს და იოანეს მსგავსად: სწრაფად გაეშურეთ აკლდამისკენ, სადაც სამუდამოდ უპირებდნენ დასამარებას სიცოცხლის უფალს, სინამდვილეში კი მან სიკვდილი დათრგუნა და მკვდრეთით აღსდგა“ -ამბობს ერთ-ერთი წმინდა მამა.

ქრისტე აღსდგა!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ლევან ნატროშვილი

წითელია – მოულოდნელი თუ მოსალოდნელი ეპიდემია

გვ. 3

დავითაშვილი აზარტული თამაშების წინააღმდეგ

გვ. 2

უშანგი წყარუაშვილი იუბილარია!

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი - პოლიციამ საკმარისზე მეტი მოითმინა

„პოლიცია ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო. პოლიციამ საკმარისზე მეტი მოითმინა. სასაცილოა განცხადებები იმის შესახებ, რომ პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა არაპროპორციული და გადაჭარბებული ძალის გამოყენებას," - განაცხადა შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილი 1 მაისს, სამართალდამცავების მიერ სტუდენტების მშვიდობიანი აქციის დაშლის ფაქტთან დაკავშირებით.

„ვწუხვარ, რომ ერთის მხრივ სტუდენტების მიერ დაგეგმილი მშვიდობიანი მანიფესტაცია გადაიზარდა არაორგანიზებულ, ქაოტურ მანიფესტაციაში. მე და ჩვენი ხელისუფლება მიესალმება სტუდენტების აქტიურობას, მაგრამ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ მათი ვალდებულებაა არ დაარღვიონ კანონი. რაც შეეხება პოლიციის მხრიდან გამოხატულ რეაგირებას, მე ვფიქრობ, რომ ეს იყო აბსოლუტურად ადექვატური, ეს არის მათი ვალდებულება, რომ კანონი დაიცვან. პოლიცია მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო და დაიცვა საზოგადოებრივი წესრიგი. აქციის მონაწილე რამდენიმე პირი განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა. გვაქვს კადრები, რომ შემხვედრ მძღოლს სრულიად უმიზეზოდ ავტომანქანა დაუზიანეს. რამდენიმე პირის დესტრუქციული ქმედება კი მოგვიანებით მთელ მასას გადაედო. ყველას უნდა ახსოვდეს თავისი ვალდებულება, დაიცვას კანონით. პოლიციის არაერთი მოწოდების მიუხედავად, რამდენიმე დესტრუქციული ენერგიის შემტანმა პირმა უსიამოვნო შედეგი მოიტანა," - განაცხადა შს მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სამწუხაროა, რომ პოლიციას ორი ჟურნალისტის დაკავებაც მოუწია, თუმცა მისი თქმით, ინციდენტის დროს ძნელი იყო იმის გარჩევა ვინ ჟურნალისტი იყო და ვინ არა.

„გულწრფელად ვწუხვარ იმის გამო, რომ ინციდენტის მონაწილეები აღმოჩნდნენ ჟურნალისტები, თუმცა პოლიცია ადგილზე ვერ გაარკვევდა, ვინ იყო ჟურნალისტი და ვინ არა. მიკროფონი შეიძლება სტუდენტებმაც დაიჭირონ. რამდენიმე სტუდენტი გზის გადაკეტვას ცდილობდა და სასაცილოა ცალკეული განცხადებები იმის შესახებ, რომ პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა არაპროპორციული და გადაჭარბებული ძალის გამოყენებას," - განაცხადა მინისტრმა.

კახა კალაძე — „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოგვიწევს

„ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა ყველაზე ცუდ მდგომარეობაში კახეთშია. გამოსაცვლელია გადამცემი ქსელები და ბოძები, მოსაწესრიგებელია ინდივიდუალური გამრიცხველიანება. ამიტომ უახლოეს მომავალში ამ კომპანიასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგვიწევს", — ამის შესახებ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსებისმინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა.

„ყველაზე მეტი პრობლემა სწორედ კახეთის რეგიონში გვექმნება. „კახეთის ენერგოდისტრიბუციას" დიდი ოდენობით ვალი აქვს და ძალიან რთულ ვითარებაშია. მისი დავალიანება 15 მილიონამდეა ასული. ამასთან, განსახორციელებელია ინვესტიციები. ვმუშაობთ ინვესტორის მოძიებაზეც, მაგრამ ეს რთული იქნება, რადგანაც, არა მგონია, რომლიმე ინვესტორისთვის იყოს მისაღები ის ვალდებულებები, რომელიც ამ კომპანიას აქვს", — აღნიშნა კახა კალაძემ.

მინისტრის თქმით, „კახეთის ენერგოდისტრიბუციასთან" მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მინისტრის განცხადებით, კომპანიაში ამბობენ, რომ გაკოტრება მიზანმიმართულად მოხდა.

შეგახსენებთ, კომპანია „ახემა ჯგუფს" „კახეთის ენერგოდისტრიბუცია" 2011 წელს ჩამოართვეს და 5 აგვისტოს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" მიმართ გაკოტრების საქმე გაიხსნა. კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა" და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" მიმართეს. ოფიციალური ინფორმაციით, ენერგოსადისტრიბუციო კომპანიას 4 417 544 ლარი დავალიანება აქვს. 2011 წლის ოქტომბერში, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის" გადახდისუუნარობის საქმესთან დაკავშირებით მომრიგებელმა საბჭომ კომპანიის გაკოტრების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, ლიტვურმა ინვესტორმა კომპანია „გრუპპა ახემამ" საინვესტიციო პირობების შესრულება ვერ შეძლო და ვალების დაგროვება დაიწყო. ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური აცხადებდა, რომ „კახეთის ენერგოდისტრიბუცია" მალე გაიყიდებოდა, რაც არ შესრულდა. კომპანია დღემდე გაკოტრების რეჟიმშია. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, გაკოტრების მმართველად „ქართული ოცნების" წევრი აკაკი ბეგაშვილი დაინიშნა.

კობა დავითაშვილი აზარტული თამაშების აკრძალვას ითხოვს

აზარტული და მომგებიანი თამაშების აკრძალვის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კობა დავითაშვილი მომავალი კვირიდან ხელმოწერების შეგროვების დაწყებას აპირებს. რეფერენდუმის ჩასატარებლად 200 ათასი ხელმოწერაა საჭირო.

პარლამენტმა „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ" კობა დავითაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა 1 მაისს, მეორე მოსმენისას ჩააგდო.

„პარლამენტი ჩემს კანონპროექტს არ ითვალისწინებს. სწორედ, ამიტომ მომავალი კვირიდან ვიწყებ ხელმოწერების შეგროვებას. როგორც ვიცი, 200 000 ხელმოწერაა საჭირო იმისთვის, რომ რეფერენდუმი ჩატარდეს და საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად მოსახლეობამ ამ კითხვაზეც გასცეს პასუხი: უნდა აიკრძლოს თუ არა აზარტული თამაშები საქართველოში?! მჯერა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა აკრძალვის მომხრე იქნება", - აღნიშნა კობა დავითაშვილმა.

საქართველოში ირანიდან შემოტანილ კარტოფილს ჩრჩილი აღმოაჩნდა

შემოსავლების სამსახურის ცნობით, ვალეს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, ირანის ისლამური რესპუბლიკიდან 4733 კგ კარტოფილით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალება შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტის ფიტოსანიტარმა ოფიცერმა, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო პროცედურების განხორციელებისას, ეჭვის საფუძველზე ლაბორატორიული კვლევისთვის კარტოფილის ნიმუში აიღო. ლაბორატორიული ანალიზის შედეგად ირანიდან იმპორტირებულ პროდუქტში – კარტოფილს მავნებელი, კარტოფილის ჩრჩილი გამოვლინდა.

საქართველოს მთავრობის N429 დადგენილების თანახმად, დაავადებული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნდა.

ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო წარმომადგენლების მიერ დაკავებული ბავშვები გათავისუფლდნენ

შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის, შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლების მიერ, „ცხელი ხაზის" მეშვეობით, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად, უკანონოდ დაკავებული 5 მოზარდი გათავისუფლდა.

რუსმა სამხედროებმა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე. წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკნონო კვეთის" ბრალდებით, საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში ჯონჯოლის საკრეფად წასული 11 მოქალაქე ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ოსური მილიციის თანამშრომლებმა ისინი ჯერ ზნაურში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ ცხინვალის იზოლატორში მოათავსეს.

ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, 1 მაისს უკანონოდ დაკავებული ხუთივე მოზარდი ოკუპირებული ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა დღეს დილით გაათავისუფლეს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები დანარჩენი დაკავებული მოქალაქეების გასათავისუფლებლად.

პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი 1 მაისს დაიწყო

2013-2014 სასწავლო წლისთვის საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაცია გრძელდება. პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი 1 მაისს 09:00 საათიდან დაიწყო და 20 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

რეგისტრაცია ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, ვებგვერდებზე: www.mes.gov.ge, www.registration.emis.ge უნდა გაიაროს, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტები 2013 წლის 21 ივნისიდან 2013 წლის 3 ივლისის ჩათვლით უნდა წარადგინოს.

რეგისტრაციის მესამე ეტაპის ვადად განსაზღვრულია პერიოდი 2013 წლის 10 ივლისიდან 2013 წლის 18 ივლისის ჩათვლით. რეგისტრაცია განხორციელდება იმ გამოთავისუფლებულ ადგილებზე, სადაც მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელ საბუთებს განსაზღვრულ ვადებში არ წარადგენს.

რაც შეეხება გამოცდების ექსტერნად ჩაბარების წესს, მხოლოდ იმ მე-12 კლასელებს შეეხებათ, რომელთაც 2012-2013 სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

ამ კატეგორიიის მოსწავლეებმა რეგისტრაცია 2013 წლის 29 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით შესაბამის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში უნდა გაიარონ. ექსტერნის გამოცდები 2013 წლის 7 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით ჩატარდება.

Freedom House-ის პრესის თავისუფლების რეიტინგში საქართველო 15 ადგილით დაწინაურდა

არასამთავრობო ორგანიზაცია Freedom House-მა პრესის თავისუფლების 2013 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელიც მსოფლიოში პრესის მდგომარეობას ასახავს. რეიტინგში საქართველოს მდგომარეობა 15 პუნქტით გაუმჯობესდა და 111-ე ადგილიდან 96 ადგილზე გადაინაცვლა.

პოზიციის გაუმჯობესების მიუხედავად, საქართველო მედიის თვალსაზრისით, კვლავ ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნებს შორის მოხვდა და მისი თავისუფლება 49 ქულით შეფასდა, შარშანდელთან შედარებით 3 ქულით გაუმჯობესებულია - 52.

„რეიტინგში საქართველოს პოზიციის გაუმჯობესება ქვეყნის სატელევიზიო ბაზარზე პოლიტიკურმა მრავალფეროვნებამ, მათ შორის „იმედის" წინა მფლობელებისთვის დაბრუნებამ გამოიწვია", - ნათქვამია Freedom House-ის ყოველწლიურ ანგარიშში.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში მოვლენების დაბალანსებულმა და ღიად გაშუქებამ ხელი შეუწყო ოპოზიციური პარტიების გამარჯვებას და ძალაუფლების მშვიდობიანად გადაბარებას.

Freedom House პრესის თავისუფლების კვლევას 197 ქვეყანაში ატარებს. ორგანიზაცია პრესის თავისუფლებას სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებით აფასებს. შეფასება 100-ქულიანი სისტემით ხდება. ქვეყნები, რომლებიც 0-დან 30 ქულამდე მოაგროვებენ, თავისუფალ ქვეყნებად ითვლებიან, 31-დან 60-მდე - ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნებად, 61-დან 100-მდე კი - არა-თავისუფლად.

ყველაზე თავისუფალი ქვეყნების რეიტინგში პირველ ხუთეულში ნორვეგია, შვედეთი, ბელგია, ფინეთი და ნიდერლანდები არიან. საერთო ჯამში, თავისუფალ ქვეყნებს შორის მსოფლიოს 63 ქვეყანა მოხდა, ნაწილობრივ თავისუფლებში - 70, არა-თავისუფლებში კი 64 ქვეყანა დასახელდა.

პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად ნიკო ნერგაძე დაინიშნა

პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსად რადიო „თავისუფლების" ბლოგერი, ნიკო ნერგაძე დაინიშნა. ეს თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ იყო, რაც დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა მაკა გიგაურმა თანამდებობა დატოვა და საბურთალოს გამგებლის მოადგილედ დაინიშნა.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ახალი ხელმღვანელი დღეს თანამშრომლებს შეხვდა.

ნიკო ნერგაძე კითხულობს ლექციებს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. იყო ქართული „ფლეიბოის" რედაქტორი, „ჯეოსტარის" ჟიურის წევრი (ინტერპრესნიუსი).

წითელა - მოულოდნელი თუ მოსალოდნელი ეპიდემია

ბოლო დროს გავრცელებულმა წითელამ კიდევ ერთხელ შეახსენა მოსახლეობას, რომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ ამ დაავადებისგან თავის დასაცავად. როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები მისით დაინფიცირების შემთხვევაში ან როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან მისი გარეშულება, ამის შესახებ ინფორმაციას დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი გვაწვდის.

წითელა ვირუსული რესპირატორული ინფექციაა და ვრცელდება ჰაერ-წვეთოვანი გზით. სუნთქვის, ხველების, ცემინების დროს ვირუსი იფრქვევა და ვრცელდება წვეთების სახით ჰაერში, რაც აადვილებს კონტაქტში მყოფთა დაინფიცირებას. დაავადებულთან კონტაქტის შემდეგ პირველი სიმპტომები, რომელიც ძირითადად არის ცხელება, საშუალოდ 10-12 დღეში ვითარდება, გამონაყარი კი ჩნდება მე-14 დღემდე .წითელათი დაავადების სიმპტომებია: ცხელება, ხველა, სურდო, თვალის სიწითლე და ცრემლდენა (კონიუნქტივიტი), სისუსტე, თეთრი გამონაყარი პირის ღრუში და ლაქოვანი გამონაყარი კანზე, რომელიც იწყება სახიდან და ვრცელდება ქვემოთ- კისერზე, კიდურებზე, ტანზე. წითელას ხშირად თან ახლავს გართულებები. ამჟამად ყოველწლიურად მსოფლიოში ამ დაავადებით კვდება 200 000 ადამიანი. წითელას შემთხვევათა 30% რთულდება პნევნომიით, ენცეფალიტით, ყურის ანთებით. ათასიდან ერთი ან ორი შემთხვევა მთავრდება სიკვდილით. წითელას საწინააღმდეგო სპეციფიური მკურნალობა არ არსებობს. წითელათი დავადებულს ესაჭიროება წოლითი რეჟიმი, სითხეების მიღება და ტემპერატურის კონტროლი. გართულების შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი სპეციფიური მკურნალობა.

წითელას გავრცელების თავიდან აცილების მიზნით იმუნიზაციის კალენდარი ითვალისწინებს წწყ (წითელა-წითურა-ყბაყურა) ვაქცინით აცრებს 12 თვის ასაკში (პირველი დოზა) და 5 წლის ასაკში (მეორე დოზა). ორი დოზით ვაქცინირებულ და წითელაგადატანილ პირებში ყალიბდება წითელას იმუნიტეტი. ბოლო წლებში დაგროვდა საკმაოდ დიდი რაოდენობით გეგმიურად არასრულყოფილად ვაქცინირებულთა რაოდენობა (დაახლოებით 400 000), ასევე დაბალია გეგმიური ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებელიც 2012წ. ყოველივე ამან კი განაპირობა წითელას გავრცელება.

2013 წლის თებერვლიდან საქართველოში დაიწყო წითელათი დაავადების შემთხვევების მნიშვნელოვანი მატება. ბოლო მონაცემებით სულ 2363 შემთხვევაა დაფიქსირებული. მათ შორის ჰოსპიტალიზებულია 791, გარდაიცვალა 2.

აღნიშნულიდან გამომდინარე 2013 წლის 23 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის განკარგულება N 273 „ საქართველოში წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, 22 აპრილიდან კი ქვეყანაში გამოცხადდა იმუნიზაციის კვირეულილოგანით: „აიცერი და დაიცავი“ და „ერთად დავამარცხოთ წითელა“.

აქტიურად მიმდინარეობს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე შესაბამისი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება, რაც მოიცავს არასრულად იმუნიზირებულ 7 წლამდე ასაკის ბავშვთა, სამედიცინო პერსონალის და წითელათი დაავადებულთან კონტაქტირებულ პირთა ერთჯერად ვაქცინაციას.

წითელათი დაავადებული ადამიანი გადამდებია გარშემო მყოფთათვის გამონაყრის გაჩენამდე 4 დღით ადრე და 4 დღის შემდეგ დროის ინტერვალში. წითელათი დაავადებულთან კონტაქტირებული პირები სასურველია და უფრო ეფექტურია აიცრან საპროფილაქტიკო ერთჯერადი დოზით არაუგვიანეს 72 საათისა.

დედოფლისწყაროს რაიონში თებერვლიდან დღემდე წითელას ხუთი შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის სამი დედოფლისწყაროს მოქალაქეა, ერთი- გურჯაანის, ერთი- სიღნარის. ყველა შემთხვევა შევისწავლეთ. გამოვავლინეთ კონტაქტირებული პირები და ავცერით წწყ-ს ვაქცინით - საპროფილაქტიკო ერთჯერადი დოზით (სულ 38 მოქალაქე).

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მომარაგებულია წითელა-წითურა-ყბაყურას საჭირო რაოდენობის ვაქცინით.

ერთად დავამარცხოთ წითელა!!!

ყველა არასრულად იმუნიზირებულს, სამედიცინო პერსონალს, წითელათი დაავადებულთან კონტაქტირებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ვაქცინაციისათვის. აიცერით და დაიცავით საკუთარი თავი და ახლობლები წითელათი დაავადებისგან.

P.S

საზოგადოებაში აცრებთან და ვაქცინების ხარისხთან დაკავშირებით უამრავი კითხვის ნიშანი არსებობს. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ აქტუალურ კითხვებს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მეშვეობით უპასუხა. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს მცირე შემოკლებით.

- წითელას რა გენოტიპია ჩვენთან გავრცელებული და აქვს რამე მნიშვნელობა ამას დაავადების მიმდინარეობისთვის?

- ჩვენთვის, მეცნიერებისთვის აქვს. ახლა ევროპულ ქვეყნებში გავრცელებული წითელა გვხვდება, ადრე იყო პოსტსაბჭოეთში გავრცელებული გენოტიპი...

- რამდენად რთულად მიმდინარეობს დაავადება, იზრდება დაავადებულთა რიცხვი?

- ჯერჯერობით დაავადება მზარდია, სამწუხაროა ორი ლეტალური შემთხვევა. 2008 წელს რომ ჩატარებულიყო იმუნიზაცია, წითელა და წითურა აღარ იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში.

- არსებობს მითი, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბავშვებს აღარ ცრიან...

- ტყუილია. სამწუხაროდ, ჩვენ ყველა იმ ვაქცინით ვერ ვცრით, რასაც განვითარებულ ქვეყნებში იყენებენ... ბოლო წლებში დავნერგეთ რამდენიმე ვაქცინა. ახალი ვაქცინები ძალიან ძვირია.

- ამბობენ, რომ ჩვენში უხარისხო ვაქცინები შემოდის...

- ესეც მეორე მითია... ინდოეთში უამრავი ვაქცინის მწარმოებელია, მაგრამ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის პერეკვალიფიკაციის გარეშე საერთაშორისო ბაზარზე ვერ გავა. რუსეთის ვაქცინებს არა აქვს პერეკვალიფიკაცია, რადგან ძალიან ძვირი ჯდება. ჩვენთან შემოსულ ყველა ვაქცინას კი აქვს. ამდენად, გვაქვს გარანტია, რომ ეს ვაქცინები ისეთივეა, როგორიც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებული ვაქცინები...

მასალა მოამზადა
ინგა შილაშვილმა

სოფლის მეურნეობის მინისტრმა თანამდებობა დატოვა

სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ თანამდებობა დატოვა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მინისტრთა კაბინეტში ეს პირველი საკადრო ცვლილებაა. დავით კირვალიძემ კომენტარი გააკეთა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავების ფაქტზეც და იმედი გამოთქვა, რომ გამოძიება ყველაფერს გაარკვევს.

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა სახელმწიფოს კუთვნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის, სამსახურებრივი გულგრილობისა და ექსპერტებზე ზეწოლის ბრალდებით სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სახელმწიფო შპს „მექანიზატორის“ მაღალი თანამდებობის პირები გუშინ დააკავეს.

„2012 წლის 24 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დახმარების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო ორმოცდათოთხმეტი მილიონი ლარი, რაც უნდა მოხმარებოდა მოსახლეობის კუთვნილი მიწების ხვნა-თესვას.

ამ პროექტისათვის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხიდან ორმოცდაათი მილიონი ლარის ღირებულების სასოფლო- სამეურნეო ტრაქტორებისა და სხვადასხვა საჭირო აგრეგატის შეძენა დაევალა შპს „მექანიზატორს“. შესყიდვის კონტროლისათვის სპეციალურად შეიქმნა შესაბამისი კომისიები, რომელშიც შედიოდნენ როგორც შპს „მექანიზატორის“, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელი თანამდებობის პირები.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შერჩევისა და შესყიდვის დროს, სხვადასხვა მწარმოებლის მიერ შემოთავაზებულ, პრაქტიკულად თანაბარი სპეციფიკაციების მქონე ტრაქტორებს შორის უპირატესობა დანაშაულებრივად მიენიჭა უარესს, რის შედეგადაც ერთ ერთეულ ტრაქტორში გაიფლანგა დაახლოებით ათი ათასი ევრო.

2013 წლის იანვრის თვეში განხორციელდა ტრაქტორებისა და საჭირო ტექნიკის შეძენა, რა დროსაც თანამდებობის პირებმა დანაშაულებრივი ქმედებით გაფლანგეს მოსახლეობის დასახმარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ორი მილიონ ხუთასი ათასი ლარი.

მხილებულმა პირებმა დანაშაულის დასაფარად ზეწოლა მოახდინეს სისხლის სამართლის საქმეზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფზე, რათა მიეღოთ მათთვის სასურველი დასკვნა და თავი აერიდებინათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის.

ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მხილებული და დაკავებული იქნენ: სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი - ომარ თედორაძე; სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტის დირექტორი - ზაზა მახარობლიძე; შპს მექანიზატორის დირექტორი ვაჟა ნახუცრიშვილი და მისი ორი მოადგილე, მამუკა ივანიაძე და ბესიკ თეთვაძე; აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი- ოთარ ქარჩავა.

სახელმწიფო სახსრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით მითვისება გაფლანგვაში მონაწილე სხვა პირების დადგენა დაკავების მიზნით გამოძიება გრძელდება“, — განაცხადეს შს სამინისტროში.

შსს—ს ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავებამდე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა სასოფლო — სამეურნეოო ბარათებთან დაკავშირებით 10 მეწარმე დააკავეს. საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახურის უფროსის ნათია სუხიაშვილის განცხადებით, გამოვლენილია სასოფლო-სამეურნეო ბარათების კანონდარღვევით გამოყენების ფაქტები.

მისივე თქმით, საქმე ეხება მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობისა და შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტებს, რომლებსაც სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მეშვეობით ახორციელებს.

სააგენტომ ფონდიდან მიღებული დაფინანსებით გლეხებს დაურიგა სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რომლებითაც მათ საჭირო სასოფლო-სამეურნეო საქონელისა და ინვენტარის შეძენა პროექტში ჩართულ სავაჭრო ობიექტებში შეეძლოთ.

„მიუხედავად იმისა, რომ ვაუჩერებში მითითებული იყო, რომ დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო ბარათების მიღება ფულადი თანხის სანაცვლოდ, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა მისი კანონდარღვევით გამოყენების ფაქტები გამოავლინეს. კერძოდ, პროგრამის მონაწილე მეწარმეები თავიანთ სავაჭრო ობიექტებში გლეხებისგან თანხის სანაცვლოდ იბარებდნენ ვაუჩერებს რეალურზე ნაკლებ ფასად, აყალბებდნენ მონაცემებს, რითაც ადასტურებდნენ, რომ თითქოს ვაუჩერში მითითებული თანხის შესაბამისი საქონელი და ინვენტარი მიჰყიდეს. ამის შემდეგ ვაუჩერების ბანკში წარდგენით იღებდნენ ბარათში დაფიქსირებულ სრულ თანხას. ამ კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად პროგრამის მონაწილე მეწარმეებმა თაღლითური გზით მიითვისეს პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ნაწილი“, - აღნიშნა ნათია სუხიაშვილმა. გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც 4-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

დაკავების ფაქტებს წინ უძღოდა პრემიერ — მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ ერთ—ერთ მინისტრთან შეკითხვები ჰქონდა, თუმცა პრემიერი მის ვინაობას არ ამჟღავნებდა. ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ, „რუსთავი 2“-ის ეთერში აღნიშნა, რომ მინისტრთან ურთიერთობის მოგვარების ალბათობა ცოტაღა დარჩა და საზოგადოებას ამისთვის ამზადებდა. 30 აპრილს კი პრემიერმა განაცხადა: „ალბათ მე შემეშალა, როდესაც წინასწარ გამოვიტანე ეს ინფორმაცია და ახლა ვდარდობ ამაზე“.

ხალხმა თავ-პირი რომ არ დაიმტვრიოს

სარედაქციო ფოსტის მიმოხილვა

რედაქციაში სატელეფონო ზარი განხორციელდა. ქალბატონმა თავისი გულისტკივილის გადმოცემა აღშფოთებული ტონით დაიწყო:- ეს როგორ შეიძლება, ვისაც როგორ უნდა, ისე იქცევა, პატრონი არ არის ამ ქალაქში. გაგონილა, ტროტუარზე ისეთი ბარიერები აღმართო, ხალხმა თავ-პირი დაიმტვრიოს!? ნიკორციხის ქუჩაზე ვცხოვრობ, ქუჩის დასაწყისშივე, როგორც შემოუხვევთ საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე, მარჯვენა მხარეს ორმა ოჯახმა ტროტუარზე ცემენტის ისეთი ბარიერები აღმართა, ვერ გადააბიჯებ, იძულებული ხარ, მანქანის სავალ ნაწილზე გადახვიდე, იქ კი მოსახვევიდან გამოსული მანქანები ტროტურთან ისე ახლოს მიქრიან, არ არის გამორიცხული, რული ვერ დაიმორჩილონ და უბედური შემთხვევით დასრულდეს. მადლობა ღმერთს, ჯერ ასეთი მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა, ამ ბარიერების ადგილზე მანქანა ისე შეეჯახა მესერს, რომ რკინის კონსტრუქცია სულ შენგრეულია. მართალია, ამ ქუჩაზე ღამის განათება გვაქვს, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ხომ არის შემთხვევა, როცა ელექტროენერგია არ მიეწოდება ქალაქს!? ჰოდა, ასე იყო ამასწინათაც. საკმაოდ ძლიერი ქარიანი საღამო იყო და დენი არ გვქონდა. საღამოს თავი ცუდად ვიგრძენი და ჩემს ძმას დავურეკე. მათ წამალი ჩემს 17 წლის ძმისშვილს გამოატანეს. ბნელოდა და, მართალია, ჩემმა ძმისშვილმა ტროტუარზე აღმართული ამ ბარიერების შესახებ საერთოდ იცოდა, მაგრამ სიბნელეში ვერ დაინახა, წამოედო და რომ მოვიდა, ჩემი ავადმყოფობა სულ დამავიწყდა, გაგლეჯილი მუხლისთავი, იდაყვი, ლოყა... ვინ იცის, კიდევ რამდენი ადამიანი დაშავდა ამ უაზროდ აშენებული ცემენტის ყორეების გამო. ეს ხომ არ შეიძლება...“

ქალბატონმა გვარის და სახელის გამჟღავნება არ ისურვა. თქვა, ნახეთ ის ადგილი და თუ ტყუილს ვამბობ, მაშინ გვარითა და სახელით ბოდიშს მოვიხდი საქვეყნოდო.

ადგილზე მისულს ნამდვილად დამხვდა ასეთი სურათი:

ნიკორციხის ქუჩის №3-ის და №5-ის გასწვრივ ტროტუარზე მართლაც ცემენტის ბარიერებია გაკეთებული და ფეხით მოსიარულთათვის საფრთხეს წარმოადგენს. ოჯახის უფროსებს შევეხმიანეთ. თემურ ტოკლიკიშვილმა და ზაურ ალადაშვილმა თავიანთი არგუმენტები წამოაყენეს და თვითნებური ქმედება ასე ახსნეს:

თემურ ტოკლიკიშვილი: - თქვენც ხედავთ, ქალბატონო, რომ ქუჩა დაქანებულია. როცა აქ ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობდა და ასფალტს აგებდნენ, არაერთგზის გავაპროტესტეთ, რომ ჩვენს მხარეს გზა აემაღლებინათ და გაესწორებინათ, მაგრამ ყური არავინ გვიგდო, ჰაიჰარად დააგეს ასფალტი მხოლოდ გზაზე, ტროტუარები ისევ ისე დატოვეს, ტროტუარების ნაპირი დაბალი დარჩა და მთელი მთის და ახალი ქუჩებიდან წამოსული წვიმა, თავისი ქვა-ღორღით (ის მოასფალტებული არ არის, მხოლოდ მოხრეშილია) სულ სახლში მივარდება და ეზო და პირველი სართული მეტბორება. ნიაღვრის ასაცილებლად სხვა გამოსავალი ვერ გამოვნახე. ვიცი, რომ ფეხით მოსიარულეებს უშლის, მაგრამ მე რაღა ვქნა? ხომ შეიძლებოდა, გზა თუ ვერ გაასწორეს, ტროტუარი მაინც აემაღლებინათ! როგორც კი აქ საღვარეებს ჩაფენენ, როგორც ამ ბოლო დროს აკეთებენ სხვა ქუჩებზე და დაცული ვიქნები ნიაღვარის შემოვარდნისგან, იმ წუთში ჩემი ხელით დავანგრევ ამ ჩემს „ჯებირს“, მანამდე კი, რა ვქნა , ჩემს წლობით მონაგარს და შეკოწიწებულ სახლ-კარს ქუჩიდან შემოვარდნილ წყალს ვერ გავატან.

ანალოგიური არგუმენტი აქვს ზაურ თარაშვილსაც: - ეზოში ხომ მივარდება წყალი და უფრო მეტად ჭიშკართან არსებულ სასმელი წყლის ჭას აზიანებს. ეს ჭუჭყიანი, ქვა-ღორღიანი წყალი შიგ ჩაედინება, უამრავლჯერ გავასუფთავე, ყინვის დროს კი შიგ ჩასული ნალექი იყინება, ერთი სიტყვით, არც მე მინდოდა ამ ცემენტის ჩასხმა, მაგრამ იძულებული გავხდი. თუ მთავრობა ამ დაქანებულ ადგილზე ღვარსაშვებ ფილებს ჩაფენავს და ჩვენ ზემოდან მონადენი წყალი აღარ შეგვაწუხებს, იმ წუთში მოვანგრევთ ამ ბარიერებს. ეს ხომ ჩვენთვის ზედმეტი ხარჯი და შრომა იყო, რომ არ გვიშველეს, რა გვრჯიდა?!

* * *

რა გვეთქმის, ორივე მხარეს თავისი არგუმენტები აქვს და არცთუ უსაფუძვლო. აქ, მართლაც, საჭიროა ტროტუარის შეკეთება და ღვარსაშვები ფილების ჩაფენვა. ამით ორივე პრობლემა გადაიჭრება. იმედია, რაიონის და ქალაქის ხელმძღვანელობა დაინტერესდება ამ საკითხით, უყურადღებოდ არ დატოვებს და დადებითად გადაჭრის მას. ეს, არცთუ ისე ძვირი სიამოვნება იქნება.

ნაირა გორაშვილი

ძველთაძველია ჩვენი გვარი

ქალბატონო ნაირა, რამდენი ხანია, მინდა გამოვეხმაურო თქვენს წერილს „ვინ ვართ, საიდან მოვდივართ“?!, სადაც თქვენი და ფიროსმანაშვილების გვარის წარმომავლობაზე საუბრობთ. არანაირი პრეტენზია არ მექნება, თუ თქვენნაირი ჯიშ-ჯილაგის ხალხიც ჩვენი გვარისა იქნება, პირიქით, ვიამაყებ კიდეც. მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ თქმულების გაცნობისათვის, რომელიც ჩვენს გვარს ეხება. არადა, ძირძველი რომ არის ფიროსმანაშვილების გვარი, ისიც მოწმობს, რომ მრავალი განშტოება და ზედაშე აქვს ამ გვარს, ანუ ვისიანთობის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მინდა, თქვენს მიერ ჩამოთვლილ ბარყალიაანებს, კოლოლაანებს, ხოკაანებს, ჭოჭიაანებს, მედროშიაანებს დავამატო კიდევ სიკალაანები, ბაკოაანები, ბლისკაანები და ფრიშკაანები. ეჭვიც არ მეპარება, რომ კიდევ იქნება რომელიმე განშტოება, რომელიც ჩვენ არ ვიცით. სასიამოვნო იქნება, თუ განსხვავებულ იშტოს არსებობის შესახებ კიდევ ვინმე სხვაც გამოგვეხმაურება.

პატივისცემით,
ტარიელ ფიროსმანაშვილი,
ქ. დედოფლისწყარო.

ცნობისათვის: ჯერ კიდევ 1997 წელს ავთანდილ სილაგაძის და ანზორ თოთაძის მიერ გამოცემულ წიგნში „ გვარ-სახელები საქართველოში“ ასეთი მონაცემებია დაფიქსირებული: საქართველოში ფიროსმანაშვილების გვარს ატარებდა 309 ადამიანი, აქედან-278 დედოფლისწყაროში, 23-თბილისში, 2-ლაგოდეხში. ფიროსმანიშვილები სულ 223 კაცი იყო, 106-თბილისში, 47 - რუსთავში, 32-დედოფლისწყაროში. ღორაშვილები 110 იყვნენ. აქედან დედოფლისწყაროში-84, სიღნაღში-9, თბილისში-6. გორაშვილების 84 კაციდან 25 თბილისში, 17 დედოფლისწყაროში და 12 საგარეჯოში ცხოვრობდა. დაუდგენელი იყო მისამართი 6 ფიროსმანაშვილის, 38 ფიროსმანიშვილის, 30 გორაშვილის და 11 ღორაშვილის.

მას მერე 16 წელი გავიდა, 16 გაუსაძლისი წელი. ვინ იცის, ახლა რამდენი ვართ და ვინ სად არის, ცხოვრების მძიმე ტვირთმა სად გადაისროლა, გავმრავლდით თუ შევცოტავდით, ალბათ, შევცოტავდით, როგორც გვართა უმრავლესობა. გამრავლება ხომ სოციალურ მდგომარეობაზე პირდაპირაა მიბმული. არადა, როგორც მკვლევარები გვეუბნებიან, 2050 წლისთვის საქართველოში ქართველი მხოლოდ მილიონნახევარი დარჩებაო. მტკივნეულია, მაგრამ-ფაქტი!

არადა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაფერს თავისი ფესვები, თავისი ძირი აქვს. ასეა ადამიანიც. მისი ფესვი, ძირი და გენეტიკური საწყისი შორეულ წარსულში იკარგება. გვარის სიცოცხლე, განვითარება და განვრცობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ერის ისტორიასაც ასახავს. ამასთან, მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამჟამად ათასობით ისეთი გვარია საქართველოში, რომელთა შორის ერთი გვარის შვილები ოც კაცზე ნაკლებია. ზოგიერთი გვარი კი მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანით შემორჩენილა. ეს ერის სატკივარია და ამ სატკივარზე დაფიქრების, განსჯის, მისი გაცნობირებისა და ზოგიერთი დამოკიდებულების შეცვლის დროა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თითოეული გვარი ერის სიმდიდრეა, მისი უკვდავებაა, განუმეორებლობა და თვითმყოფადობაა, უწყვეტი ისტორიაა. ამიტომ ყოველი ღონისძიებით უნდა გადავარჩინოთ ის გვარები, რომლებიც ამჟამად მხოლოდ რამდენიმე ადამიანით აგრძელებს სიცოცხლეს და თუ ასე გაგრძელდა, ხვალ თუ ზეგ მხოლოდ ისტორიის კუთვნილებად იქცევიან. მართალია, არც ერისა და არც გვარის ღვაწლი, ამაგი თუ პასუხისმგებლობა არც მისი რიცხოვნობით და არც რიცხვმცირეობით იზომება, მაგრამ ჩვენს მშვენიერ გვართა მრავალფეროვნებაში არ უნდა დავკარგოთ არც ერთი გვარი, რადგან ეს უთუოდ გაღარიბებს, დაკნინებს ჩვენს გენეტიკურ საგანძურს, იმ სილამაზეს, რაც ჩვენმა ხალხმა და ქვეყანამ რუდუნებით ატარა.

ნაირა გორაშვილი

უშანგი წყარუაშვილი იუბილარია!

რედაქციის არქივში ინახება საინტერესო ადამიანის პირადი საქმე, სადაც წააწყდებით ასეთ განცხადებას, - გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქტორს, ამხანაგ გ. ტოკლიკიშვილს. უშანგი გიორგის ძე წყარუაშვილის განცხადება. გთხოვთ, მიმიღოთ გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქციაში ლიტმუშაკად. განმცხადებელი უ. წყარუაშვილი. 1966 წლის 2 ივნისი. განცხადებას იმავე დღის თარიღით ადევს გოდერძი ტოკლიკიშვილის რეზოლუცია -„განცხადება დაკმაყოფილდეს“. ნაცნობი ფრაზებია არა?! ყველა ადამიანში, ვისაც უღვაწია და თავისი სიტყვა უთქვამს საზოგადოებისთვის, არსებობს განცდა, რომ ოდესმე მისი ნამოღვაწარს გაიხსენებენ.

იგი წერდა იუმორისტულ მოთხრობებს, ლექსებს და კორესპონდენციებს, იყო გაზეთ „ახალი შირაქის“ ლიტმუშაკი, შემდეგ დაინიშნა რედაქტორის მოადგილის და პარტიული განყოფილების გამგის თანამდებობაზე. 6 მაისს უშანგი წყარუაშვილს დაბადების დღე აქვს, ის იუბილარია. ჩემს რესპოდენტს სოფელ სამრეკლოში, საკუთარ სახლში მივაკითხე!

გული კვლავ წიგნებისკენ მიუწევს. სულაც არ ეტყობა, რომ რვა ათეულ წელს მოითვლის, ისევ ისეთია, როგორიც წლების წინ, - არც მხნეობა აკლია და არც იუმორს გასწყრომია. კალამთან ერთად, შრომასა და ჯაფას არასოდეს შეშინებია. დღემდე საინტერესო ადამიანად რჩება ყველა დედოფლისწყაროელისთვის თავისი მეობით, იუმორით და ლამაზი ქართული ოჯახით. 9 წიგნის ავტორია და გული კიდევ ერჩის დარჩენილი სათქმელის გამოსახატად. ფიქრობს, რომ ამის გარეშე არ შეუძლია.

- „ბედნიერი კაცი ვარ, საინტერესო ცხოვრება მქონდა. ჯერ ყაზბეგი და ბავშვობის მძიმე წლები, მერე აქეთ ჩამოსახლება. როცა „შირაქის“ რედაქციაში დავიწყე მუშაობა, ძალიან დიდ დაფასებას ვგრძნობდი ხალხისგან. ჩემი იუმორისტული წერილები რაღაც დროის მერე ხალხში თქმულებებად გადადიოდა. ძალიან კარგი ოჯახი მყავს, შვილებიც კარგი გამოვზარდე. ორი ვაჟის და ერთი ქალის მამა ვარ. ექვსი შვილიშვილი მყავს, შვილებიც წარმატებით სწავლობდნენ და შვილიშვილებიდანაც გახარებული ვარ, ორი მათგანი ოქროს მედლის კანდიდატია, კმაყოფილი ვარ ყველა მათგანით. მშრომელი ოჯახი გვაქვს, შვილებიც შრომას მივაჩვიე, მაგრამ ჩემი ოჯახისთვის უპირველესი მაინც წიგნი, განათლება და შეგნებაა!“- ყვება უშანგი წყარუაშვილი ჩემი სტუმრობისას.

- ბატონო უშანგ, თქვენი ბოლო წიგნი გარდაცვლილი ძმის, შოთას ხსოვნას მიუძღვენით, სადაც ძალიან კარგად გაქვთ აღწერილი ბავშვობის წლები. რას იტყვით ბავშვობის წლებზე?

- მაშინ ყაზბეგში ვცხოვრობდით, დედამ ოთხი ძმა მარტოხელამ გაგვზარდა. ჯერ ყაზბეგის სკოლაში ვსწავლობდი, შემდეგ კი ორჯონიკიძის (ვლადიკავკაზის) სკოლა დავამთავრე. ილია მეორე ჩემი ძმის, შოთას კლასელი იყო, მის მამას, გიორგის კი, რომელიც იქ ერთ ქართულ ეკლესიაში მოღვაწეობდა, ჩემი ძმა შოთა ჰყავდა მონათლული. ძნელბედი ბავშვობა გვქონდა. კარგად მახსოვს 1942 წლის დეკემბერი იდგა, ირგვლივ ყველაფერი თოვლით იყო დაფარული. შუადღისას უეცრად განგაშის სირენა ჩაირთო, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მტრის თვითმფრინავები გამოჩნდნენ. მოსახლეობამ თავშესაფარს მიაშურა, თოვლში მოგუნდავე ბავშვები სახლებისაკენ გაიქცნენ და ჩვენც სასწრაფოდ სახლში შევცვივდით. დედამ კუთხეში მდგარი ზამბარიანი საწოლის ქვეშ შეგვყარა, თვითონ კი ოჯახის სალოცავ ხატთან დაანთო სანთლები და ლოცვა დაიწყო. შემდეგ შემოძვრა და ხელები ზამბარიან საწოლს შეუყენა, ალბათ ფიქრობდა, სახლი თუ დაიქცა, რკინის საწოლი ბავშვებს გადაარჩენსო. უეცრად, რაღაც საოცარი სისინი გაისმა და გამაყრუებელი აფეთქების ხმა გავიგონეთ, მერე სახლში მიწაყრილი ჩამოცვივდა და პირდაპირ საწოლზე გაწვა, მერე იმ სიმძიმემ საწოლი შუაზე გადატეხა. მე დედაჩემის ხელებს ვუყურებდი, როგორ იჭერდა ხელებით სიმძიმეს. დღესაც ვხედავ დედის გაფართოებულ თვალებს და მესმის მისი მაშინდელი აჩქარებული სუნთქვა. მერე ჩამონოლილი სიწყნარე ხალხის ხმაურმა დაარღვია, გვესმოდა როგორ გაიძახოდნენ, წყარუაშვილების სახლს ბომბი დაეცა და იქნებ გადავარჩინოთო! ღმერთი დაგვეხმარა, თორემ იქ ადამიანის გადარჩენის შანსი არ იყო. დედას ჩემი გულში ჩახუტება უნდოდა, მაგრამ ორივე კიდური მოწყვეტილივით ეკიდა. მაშინ განთქმულმა ფალავანმა სანდრო კანდელაკმა გამოგვიხსნა იმ საშინელი ნანგრევებისგან, თორემ ალბათ დღეს არ ვიქნებოდი თქვენს წინაშე. იმ ღამით სოფლის მღვდელმა შეგვიფარა უსახლკაროდ დარჩენილები!

- პროფესიით ჟურნალისტი არ ხართ, საშუალოს მერე სოფლის მეურნეობის მექანიკური ტექნიკუმი დაგიმთავრებიათ, ხოლო მოგვიანებით - თელავის პედინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტის დაუსწრებელი კურსი. როგორ მოხდა, რომ კალამს მოკიდეთ ხელი?

-მაგ დიპლომების გარეშეც მოხდა ისე, რომ დავჭირდი გაზეთს და დამიძახეს. მაშინ სხვადასხვა გაზეთებში იუმორესკებს ვაქვეყნებდი. გამომდიოდა ეს საქმე და ასე მოვხვდი გაზეთ „შირაქშიც“.

- დღევანდელი გადასახედიდან როგორ უყურებთ თქვენს მიერ განვლილ ცხოვრებას?

- ცუდად არ ვაფასებ ჩემს მიერ განვლილ ცხოვრებას, კმაყოფილი ვარ, ლამაზად განვვლე ჩემი გზა. მწერალთა კავშირში ოთხასი წევრი იყო, აქედან ორასი ჩემი მეგობარი იყო, ჩემს სახლში მისულ- მოსული. ქეიფიც მიყვარდა და ლექსის ფასიც ვიცოდი, ეხლა აღარსად მეძახიან თორემ, ადრე უჩემოდ არ ჩაივლიდა არცერთი ღონისძიება, პოეზიის თუ ხალხური სიტყვაობის საღამო, რომლის დიდი ჭაშნიკი გახლავართ! იყო წლები, როცა რესპუბლიკაში ვიბეჭდებოდი და ასე თუ ისე მიცნობდნენ, ყველა მეგობრობდა ჩემთან.

პოეტ გაბრიელ ჯაბუშანურს ასეთი ლექსი მიუძღვნია მისთვის,

-„უშანგი, შენც მთის კაცივით,
გაქვს ძმაო ბედის ტრიალი,
რადგანაც მოგნატრებია
მთა, ცხორი, თერგის ღრიალი.
ჩამოლესილი კლდე- ღრენი,
მზეზე მეინვარის ჭრიალნი,
ქიზიყში დასახლებულხარ,
ეზო-უურე გაქვს მზიანი.
იცოცხლე, მრავლად გეჯირდება,
ხალხს შენებრ ადამიანი,
იჩქარე, უხვად დაწერო,
მოთხრობა, ლექსი ფხიანი!“

- წყარუაშვილს მიუწერია:

-„გაბრიელ არ დაგავიწყდეს,
ლუდ მე შეგასვი სვიანი,
იცოდე ხურგს შეგაქცევენ
ღვია, დეკა და იანი!“

- ჩემთვის, მთიდან ჩამოსული კაცისთვის, ზედგამოჭრილი იყვნენ ისეთი კოლეგები და მეგობრები, როგორებიც იყვნენ და არიან შოთა ბიკაშვილი, გოდერძი ტოკლიკიშვილი, ვლადიმერ ასლამაზიშვილი, ჯემალ მეხრიშვილი და სხვები. მათთან სიახლოვე ჩემთვის დიდი სულის ზეიმი და შვება იყო. რომ არა მათთან ერთად მუშაობა, ძალიან გამიჭირდებოდა, რადგან სწორედ კალამი იყო ჩემი სულის საზრდო. ჩემი უფროსი მეგობრები იყვნენ ვლადიმერ მჭედლიშვილი, ამირან ბილიაშვილი, სოლომონ შანშიაშვილი, სპირიდონ ჯორკოშვილი, ნიკო შანშიაშვილი...

მათ ჩვენი რესპოდენტი ასეთ ლექსს სწერს-

-„ერთხელ ერთად უნდა ვნახო
საყვარელი ბებრები!
ჩემი ძმები ძველისძველი
დარდის შემგროვებლები.
მინდა სვედის თბილი კალთა
ტაბლას გადავაფარო,
მინდა, შავი ღვინო ვასვა,
ქამრიანი ჭიქებით,
გავიხარო მათთან ოფნით,
მღერა შეჭაშნიკებით!“

- ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ ადრე შემიწყდა რედაქციაში მუშაობის სტაჟი. ვთვლი, რომ ჯერ არ მეკუთვნოდა წასვლა, მაგრამ მე ჩემი სათქმელი მაინც ვთქვი და ის, რაც უთქმელი დამრჩა, წიგნებიდან ვუთხარი საზოგადოებას,- აცხადებს ბატონი უშანგი.

- ყველაზე მეტად რას აფასებთ ადამიანში?

- გულწრფელობას, პატიოსნებას და მებრძოლ სულს. მორწმუნე და ღვთისმოშიში კაცი ვარ და ვერაფრით ვერ ვეგუები ბოროტ ადამიანს! საშინლად მძულს ბოროტება! კაცმა სიკეთე უნდა თესოს. ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ რაც უნდა მთხოვოს ვინმემ, არაფერს დავუჭერ.

ყურადღებას იქცევს უშანგი წყარუაშვილის წიგნები - „ელიის მადლი გეწეოდეთ“, „თამარცი-ხე“, მოგზაურობა ჩეხოსლოვაკიაში“, „ჩემი უჩა“, „ხსოვნის წიგნი“, „ქართველები ამერიკაში“, „კაცური კაცი“ და „მზის ამოსვლის წინ“, რომლებიც მოიცავს ჩვენი რაიონის ისტორიას და საინტერესო ადამიანთა ცხოვრების ეპიზოდებს. წლები წავლენ და წამოვლენ, მისი წიგნები კი დარჩებიან ...

ქართველი მწერლების სტუმრობა წითელწყაროში ისე არ ჩაივლიდა, რომ ან მის ოჯახს არ სტუმრებოდნენ, ან არა და მათი მეგზური არ ყოფილიყო ამ ლამაზ რაიონში.

იშვიათი მასპინძელია, კარგი მეურნე, საყვარელი ოჯახის პატრონი, დამსახურებული ჟურნალისტი და კარგი მოთხრობების ავტორი.

”მის ბიბლიოთეკაში ცალკე თარო აქვს დათმობილი გამოჩენილი ქართველი მწერლების გიორგი ნატროშვილის, ნოდარ დუმბაძის, ლადო მრელაშვილის, რევაზ მარგიანის, მუხრან მაჭავარიანის, ირაკლი აბაშიძის, ჯანსულ ჩარკვიანის, რევაზ მიშველაძის და მრავალი სხვა მწერლის და საზოგადო მოღვაწის მიერ ნაჩუქარ ავტოგრაფიან წიგნებს, რომლის ავტორებიც პატივს მიაგებდნენ და მიაგებენ ბატონ უშანგის.“-ამ პატარა ანოტაციას ხელს აწერენ ცნობილი მწერლები გივი ბოსტოღანაშვილი, კარლო კობერიძე და ვლადიმერ ასლამაზაშვილი,რითაც ვფიქრობთ ყველაფერია ნათქვამი უშანგი წყარუაშვილის პიროვნებაზე.

რედაქცია ულოცავს ბატონ უშანგის მორიგ იუბილეს. ჯანის სიმრთელეს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ თავის ოჯახთან ერთად!

ლალი მეხრიშვილი

ილიკო შარვაძე



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და გიორგობას ერთად გილოცავთ, ჩემო საყვარელო შვილო. ქრისტე აღსდგა, ილიკო, მაგრამ ვაი, რომ შენგან ვეღარ მოისმენს პასუხს შენი უბედური დედა „ჭეშმარიტად აღსდგაო“. ამას ვიფიქრებდი ოდესმე, ასეთი აღდგომა თუ გამითენდებოდა? ეს პირველი აღდგომაა უშენოდ, რა იქნება, ჩემთვის რომ ბოლო იყოს, შვილო, ჩემო ბიჭო, თვრამეტჯერ მიულოცე აღდგომა, თვრამეტჯერ დაუნთე წმინდა სანთელი შენს საყვარელ მამას, მაგრამ მეტჯერ აღარ დაგცალდა. ახლა მანდ ერთად აღნიშნავთ მამა-შვილი, მე ვიკითხო რომ დამტოვეთ აქ უპატრონოდ და გამწარებული. ნუთუ ამისი ღირსი ვიყავი, რომ ასეთი მწარე ხვედრი მრგებოდა, მე მივსულიყავი შვილის საფლავზე. რა იქნებოდა, მეც მღირსებოდა შენი ხელით სანთლის დანთება, მიწის მიყრა და პატრონობა, მაგრამ ასეთი ბედი გვქონია, ჩემო დედისერთა ბიჭო. განა შენ კი არ გინდოდა ცოლ-შვილში გახარება, პატარა შვილების დაზრდა, რამდენი გეგმები დაგრჩა განუხორციელებელი! ისე უცბად წახვედი, „ვაი დედაო“ ვერ დაიძახეო. ხუთი თვის წინ დახუჭე თვალები და შენი დედისთვისაც იმ დღეს დამთავრდა ცხოვრებაც და სიცოცხლეც. შენმა პატარა შვილებმა ნიამ და ილიკომ იცოცხლონ დიდხანს, იყვნენ ბედნიერები, რომ თავიანთ ახალგაზრდა და ლამაზ მამიკოს არ ჩაუქრონ წმინდა სანთლები მთელი ცხოვრების მანძილზე. იმედი მაქვს და მოვალენი არიან, რომ არც ბებია და ბაბუა დაივიწყონ. აღდგომის მეორე დღეს აღნიშნავენ მიცვალებულთა ხსოვნის დღეს, მაგრამ შვილმკვდარ დედას რაში სჭირდება განსაკუთრებული დღე, ვინ დაუწესებს ამ დღეს შვილის მოსახსენებლად?! დედის სიცოცხლის ყოველი წამი ხომ შვილის ხსოვნას ეძღვნება. რამხელა იმედი იყავი დედისთვის და რამხელა ტკივილი ხარ ახლა. ძნელია ამ ტკივილით სიცოცხლე და ცხოვრება, შვილო. არ მინდა, ბოლომდე გადავიწყვიტო შენი მოსვლის იმედი. მინდა, გულში ჩაგიხუტო, ხმა გავიგო შენი, მინდა გითხრა, რომ უშენოდ კვდება დედაშენი. ყველგან დავეძებ შენს ლამაზ, ცისფერ თვალებს, შვილო. ბუნებით ამაყი, მაგრამ სიტყვაძუნწი იყავი, არასოდეს სხვას არ მოახვევდი თავს შენს პრობლემებს. შენს განცდებს ჩუმად ატარებდი გულით და სხვას არ აგრძნობინებდი, სწორედ გული გახდა შენი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლის მიზეზიც. მაგრამ შენს დედას უთქმელადაც ესმოდა შენი, შვილო. დედა ვერასოდეს დაივიწყებს შენს თვალებში და ხმაში ჩაგუბებულ სევდას და შენს ნაძალადევ ღიმილს. შენი უბედური დედა იმ იმედით სულდგმულობს, რომ მანდ ძლიერი, ერთგული და შვილის გიჟური სიყვარულით შეპყრობილი მამა გყავს გვერდით. ის არაფერს გაგიჭირვებს, არაფერს მოგაკლებს, როგორც ეს სიცოცხლეში ხდებოდა ხოლმე. ჩვენი დედა-შვილობის 38 წლის ფურცლებს თვალწინ ვშლი და ვაცოცხლებ უშენოდ. არაფერია დედის სიყვარულზე უფრო წმინდა და უანგარო. დედისთვის დიდი ბედნიერებაა ხედავდეს თავის შვილს მუდამ თავის გვერდით, მაგრამ ვაი, რომ ყველა დედას ასე არ უმართლებს. სიკვდილმა შეცდომა დაუშვა და თან როგორი გამოუსწორებელი, შენ წაგიყვანა, მე კი დამტოვა სატანჯველად, ჩემო ილიკო. გაუსაძლისია შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი, მკლავს შენი ნახვის უსაზღვრო მონატრება. ვცდილობ, რომ ჩემი სიყვარული და სითბო როგორმე მანდაც მოგაწვდინო, ზეციურ სამყაროში. შენ არ მომკვდარხარ, ჩემო ილიკო, შენ უკვდავებაში გადაინაცვლე, შვილო. ღმერთს ვთხოვ, ჩემმა ლოცვამ და ჩემგან დანთებულმა სანთელმა გაგინათოს ცათა სასუფეველი.

მაპატიე, შვილო, რომ უშენოდ ვცოცხლობ და ვვარსებობ ამ ქვეყანაზე.

შენი უბედური დედა ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე,
მეუღლე თამაზი, **შვილები:** ნია და ილიკო შარვაძეები.

ილია პოპიაშვილი



ჩვენო დიდო და მოუნელებელო ტკივილო, ჩვენო ილია, უკვე რამდენიმე წელია, გაზეთის ფურცლებიდან გესაუბრებით და ამ ფორმით გილოცავთ დაბადების დღეს შენი ოჯახის წევრები. 7 მაისი ძალიან მტკივნეული დღეა ჩვენთვის, შენი ოჯახის წევრებისთვის. რამდენი ცრემლი და ტკივილი მოგვიტანა შენმა გარდაცვალებამ, რამდენი უძილო ღამე... ძალიან გვიჭირს შენზე წარსულ დროში საუბარი, არც გვინდა დავიჯეროთ, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ, მაგრამ რეალობა გაცილებით მკაცრია. თუმცა, იმის განცდა მუდმივად გვაქვს, რომ სულიერად კვლავ აქ ხარ, შენს შვილებთან. ტკივილის მიუხედავად, ცხოვრება თავისი გზით მიდის. დრო შენი გარდაცვალებით გამოწვეულ განცდას ვერ აფერმკრთალებს, მაგრამ სასიამოვნო სიურპრიზებითაც გვანებივრებს. უკვე პაპა გახდი და შენი მოსახელე შვილიშვილიც გეზრდება. ამით ყველანი ბედნიერები ვართ, რადგან მასში შენი სიცოცხლე გრძელდება.

ამ დღეებში მოვალთ შენს საფლავთან, აგინთებთ სანთლებს და ღმერთს ვთხოვთ, სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სულს.

მეუღლე ლია, **შვილები:** ნინო და მაია პოპიაშვილები

მაყვალა ბედიანაშვილი



ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, ჩემო გოგონა. ახლა 54 წლის იქნებოდი, შვილებითა და შვილიშვილებით სავსე ოჯახის მთავარი დიასახლისი, მაგრამ ის, რაც შენ დაგემართა, ენით აუწერელი და გაუგონარი ამბავია დღესაც კი, როცა მკვლელობებმა და აგრესიამ ზოგადად იმატა ადამიანებში. შენ ოთხი წლის პირმშვენიერი, ტკბილად მოჭიკჭიკე, ალერსით სავსე ბავშვი იყავ, მაყვალა გერქვა და მართლაც მაყვალივით შავი და კრიალა თვალები გქონდა. უბედურ დღეზე გავჩენილვართ ორივე, შვილო. ის რაც ჩემმა დასაბრმავებელმა თვალებმა იხილა, დრომ ვერ წაშალა. სულ თვალწინ მიდგას შენი სულთმობრძავი სახე. თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ღოუბანში დავიბადე, მშობლები ადრე გარდამეცვალა, 14 წლისა მეზობლის 17-წლის ვაჟმა ვალიკო ბედიანაშვილმა ცოლად შემირთო (რატომ იმ დღით არ მოვკვდი, მე უბედური). სიმთვრალეში ცუდი ხასიათი დაიტანა, ოჯახს აწიოკებდა, არ გაეგებოდა დიდი და პატარა, მშობლებსაც კი უდიერად ეპყრობოდა. სოფლის მაღაზიაში დარაჯად მუშაობდა, სასამსახურო თოფი ჰქონდა. ხშირად გვაშინებდა იმ თოფით. ზამთრის იმ ცივ ღამესაც ღუმელს შემომსხდრები მთელი ოჯახი სახლში ვიყავით და შენი ტიტინით ვტკბებოდით. მოულოდნელად შემოვარდა მამაშენი, ნასვამი იყო, თვალებამღვრეულმა შეშლილი სახით რაღაც დაიღრიალა და სრულიად უდანაშაულოს, უმწიკლოს, ყოველგვარი მიზეზის გარეშე შიგ გულში დაგახალა ტყვია. ორი დღე ებრძოდი სულს საავადმყოფოში, ორი დღე გაკლავდი თავს, როგორმე რომ გადამერჩინე, მაგრამ ამაოდ... მამაშენი დახვრიტეს. მე კი დავრჩი უბედური და განადგურებული, სრულიად მიუსაფარი და უპატრონო. მერე ღმერთმა ასე ინება და წითელწყაროში სოსო კოჭლამაზაშვილს დავუკავშირე ჩემი ბედი. არც აქ გამიმართლა, არც შვილი მეყოლა, არც ლაღი და ბედნიერი ცხოვრება მქონია.

ჩემი გულის მოურჩენელო ტკივილო, შვილო მაყვალა. უფლისგან მივიწყებული, ღრმად მოხუცი და ავადმყოფი ვცხოვრობ ახლა ქალაქ დედოფლისწყაროში, სათნოების სახლის ბენეფიციარი ვარ, სხვას შევყურებ ხელებში, სამადლო ლუკმას ვჭამ. მე არ მეღირსა, შენ ყოფილიყავ ჩემი პატრონი, ორივე უბედური გამოვდექით. დრო არ ყოფილა მკურნალი, ყოველდღე მახსენდები, მენატრები, მინდა, ისევ კალთაში მეჯდე და გეფერებოდე ძველებურად. ორმოცდაათი წელია, შენთვის ვლოცულობ, შენ გინთებ სანთელს და ვცოცხლობ იმ იმედით, რომ ერთხელაც იქნება, სიკვდილი შეგვახვედრებს ერთმანეთს. ნახევარი საუკუნეა, შვილმკვდარი დედის ხვედრს გულით ვატარებ, კმარა, შენთან მინდა, ჩემო გოგონა! ღმერთს კი ვთხოვ, არცერთ დედას არ ენახოს შვილის ტკივილი, მით უმეტეს ასეთი შემზარავი და სასტიკი.

შენი გამწარებული დედა
ლიზიკო კოჭლამაზაშვილი.

გივი და რამაზი ოზაშვილები



ამბობენ, უფალს თავისთან საუკეთესოები მიჰყავსო. თქვენც, ალბათ, იმ საუკეთესოთა რიცხვს მიეკუთვნებოდით, რადგან უფალმა აგირჩიათ და თავისთან წაგიყვანათ, ჩემო ძვირფასო ქმარ-შვილო, გივი და რამაზ!

ყოველი დღე შენი მონატრებით იწყება, შვილო! უკვე შვიდი თვეა, რაც მიმატოვე და გაუსაძლისი ტკივილი დამიტოვე, როგორც მე, შენს გულმოკლულ დედას, ასევე უამრავ ადამიანს, შენს ახლობლებს, მეგობრებს. ყველა ჩემთან ერთად მოგტირის. ვერ ვერევი, შვილო, უშენობას. მენატრება შენი ტკბილი, ბავშვური ღიმილი და საუბარი. ყოველი დღე ცრემლით მითენდება და მიღამდება. უსაშველო მონატრება და ტკივილი ხარ. იმდენად ძლიერია ეს ტკივილი, რომ მამაშენს ვეღარ ვიხსენებ, მაგრამ ყოველდღე შევთხოვ უფალს, მომცეს სულიერი ნუგეში ვევედრები ღმერთს, რომ ზეციური სასუფეველი დაგიმკვიდროს მამაშენთან ერთად. მე კი ყოველდღე დავანთებ სანთელს და ლოცვით დაველოდები შენთან შეხვედრას.

მშვიდად განისვენეთ, ჩემო ძვირფასებო, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი გამწარებული და გულმოკლული დედა, შენი და ხათუნა და ყველა ახლოგელ-მეგობარი.

ლევან გოგილაშვილი



9 მაისს 31 წლის გახდებოდი, მაგრამ ვინ დაგაცადა... ვიცი, უფალი სამაგიეროს მიუზღავს მას, ვინც ასე გაგიმეტა. უკვე მესამედ მოვიდა შენი დაბადების დღე. ძალიან გვენატრები, უსაზღვროდ გვიჭირს უშენობა, რომელიც დიდი ტკივილია შენი მშობლებისათვის. შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი არასოდეს გაქრება. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია; შენ, ჩვენო ლევან, იცოცხლებ, ვიდრე პირში სული გვიდგას და მხოლოდ უბედურ მშობლებთან ერთად მოკვდები.

მჯერა, უფალი ღირსეულ ადგილს დაგიმკვიდრებს სასუფეველში და ნათელს არ მოაკლებს შენს ალალ სულს. გვიყვარხარ, გვიყვარხარ, ჩვენო სიცოცხლევ!

შენი ტანჯული მშობლები.

ნიკა სეფიაშვილი



28 მარტს 22 წელი შეგისრულდებოდა, უკვე 7 წელია, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, შენმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი და სევდა დამიტოვა ჩემო ნათლულო, თვალებბრიალა, ყველასათვის საყვარელო და კეთილო ნიკა! არ შემიძლია შენზე წარსულში ვისაუბრო, შენ ხომ ჩემს თვალწინ გაიზარდე, სულ პატარა იყავი ხელჩაკიდებულს რომ გასეირნებდით მე და ეკა... მერე უცებ დავაჟკაცდი, ისეთ პერიოდში გაიზარდე, შენი ბავშვობა უზრუნველი არ ყოფილა, შენი პატარა ხელებით თავდაუზოგავად შრომობდი, ეხმარებოდი მშობლებს, მეზობლებს, მეგობრებს...

შენი სითბო და მზრუნველობა მთელ ოჯახს ჰყოფნიდა, შენს მშობლებს, ეკას, ზუკას...

შენი სიკვდილი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, 2006 წლის 15 მარტს სახლიდან გამოხვედი, კიბეები ჩვეული ხალისით ჩამოირბინე, ეკას დაემშვიდობე და 20 წუთში შენი მშობლების თვალწინ შეწყდა შენი მჩქეფარე სიცოცხლე, გაჩერდა შენი სიკეთით და სიყვარულით სავსე გული 15 წლის ასაკში. შენმა სიკვდილმა დიდი ტკივილი მიაყენა შენს ოჯახს, ახლობლებს, სამეგობროს, სამეზობლოს, ისე არ გათენდება და დაღამდება, შენით გულდამძიმებული მშობლები შენს საფლავზე რომ არ ამოვიდნენ, სანთელს გინთებენ, გიყვებიან ყოველი დღის ამბებს, გეფერებიან, ტირიან და ლოცულობენ შენი სულისთვის.

ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ამ დრომ ვერ განკურნა ის დიდი ტკივილი, რომელიც შენი წასვლით დაგვიტოვე, შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია, ყოველდღე გელოდებით ნიკა, გეძებთ, იქნებ შემოგვაფეთო შენი ბრიალა და სევდიანი თვალები, ყველას გვაკლია შენი ღიმილი, სითბო და ბავშვური მიამიტური სიცელქე, რომელზეც ხშირად გაგვეცინება...

ნიკა, შენ წახვედი, მაგრამ მოსაგონებლად დაგვიტოვე შენი სიცოცხლის 15 ლამაზი წელი, რომელიც ჩვენს ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება. შენი გულწრფელობით და სათნო დამოკიდებულებით უამრავი ადამიანის სიყვარული დაიმსახურე ამ მცირე დროში და ცრემლების ზღვა გაიყოლე...

ჩვენო მონატრებულო ნიკა, ამ ქვეყნიდან წახვედი, მაგრამ ნათელი კვალი დატოვე ყველას გულში, ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ, არასოდეს!!!

დიდი მონატრებით და სინანულით
შენი ნათლია, მაკა გობინაშვილი.

ნინო ნადირაძე

ჩემო საყვარელო შვილო, 38 წელი გავიდა, რომელიც ჩვენ საუკუნედ გვეჩვენება. შვილის გარდაცვალებით მიღებული მწუხარება და ნაღველი მთელი ცხოვრება გრძელდება. რთულია, დაამარცხო ტკივილი, რომელიც ყოველ წამს და წუთს გახსოვს. შვილო ნინო, ჩემს გულში შენს სიყვარულს ვერავინ შეცვლის. კარგი შვილი იყავი და მე ვამაყობდი შენით. შვილის მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა, ვერაფერი და ვერავინ განკურნავს ამ ტკივილს. ნეტავ იცოდე, როგორ უსაშველოდ გვენატრები ყველას, როგორ გვინდოდა დიდხანს გეცოცხლა, მაგრამ ვერაფერი გიშველეთ ულმობელ სიკვდილთან ჭიდილში.

ნინო, შენს სულს დავიწყება არ უწერია. ჩემს მიერ დანთებულმა სანთლებმა მუდამ გაგინათოს სასუფეველი. ყველას გვენატრები. შენი ძმა და უცნობი ძმისშვილები შენს სურათს სიყვარულით დაჰყურებენ და შენთვის ლოცულობენ.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი. გწამდეს, რომ არასოდეს დაგივიწყებთ.

შენზე მტირალი მამა გურამ ბოჭორიძე.

ლიკა ხატიაშვილი

ისევ მოვიდა გაზაფხული, იღვიძებს ბუნება, მზეს სითბო დაუკარგავს უშენოდ. უკვე 8 წელია, უშენოდ ვხვდებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. შენ გიხაროდა ყველაფერი, მაგრამ არ გაცალა განგებამ, 17 წლისას მოგისპო სიცოცხლე, წახვედი და გაიყოლე შენი ახალგაზრდული ფიქრები. დააკლდი ყველას, ვინც კი გიცნობდა, შენს ოჯახს დიდი ტკივილი და სევდა დაუტოვე სამუდამოდ. გული და თვალი დაგეძებს ყველგან, მეგობრებში, ნათესავებში, იქ, სადაც ყველაზე მეტად გიყვარდა ყოფნა, მაგრამ ამაოდ.

ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან ყვავილებით და სანთლებით ხელში, რათა გაგინათოთ მარადიული სასუფეველი. შენ წახვედი და დარჩა ლამაზი ხსოვნა, დარჩა უდიდესი ტკივილი. დარჩა მარმარილოს შავი ქვა წარწერით - ლიკა გიას ასული ხატიაშვილი.

საფლავის ქვაზე რა მინდა, დედა?!
რატომ ჩამიტუდა ცხოვრების ხიდი,
რა შორს გავფრინდი, ვერავის გხედავთ,
მხოლოდ ვიცოცხლე 17 წელი,
ნუ გეშინიათ... კი არ დამკარგეთ,
აქ ვარ, მიცავენ ანგელოზები.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს სიცოცხლით გაუმაძღარო ჩემო შვილო!

შენი გამწარებული მშობლები.

რას გვეტყვი, მამაო?

გთხოვთ, განგვიმარტოთ, ნუთუ დასაშვებია მიცვალებულის „სასახლის“ სახურავზე წმინდა ნინოს ჯვრის დაკვრა?

ადამიანის სიკვდილის შემდეგ ხომ სხეულისა და სულის განშორება ხდება. ჩვენ კი მიცვალებულის სხეულთან ერთად, მიწას ვაყრით და ვმარხავთ ჯვარსაც, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ეს გახლავთ მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია - ოდესღაც მიცვალებულებს ჯვრით ხელში მარხავდნენ. მიცვალებულის ჭურჭელზე დამაგრებული ჯვარი - არ ნიშნავს ჯვრის უპატივცემულობას და არც იმის გამომხატველია, რომ ჯვარი დაკარგავს ძალას, თუ ის ჭურჭელთან ერთად მიწაში დაიმარხება. არც ჩვენი საკუთარი თავის მიმართ უნდა დავკარგოთ რწმენა, თითქოსდა ჩვენ დავკარგეთ სასოება და რწმენა ჯვრის მიმართ.

მიცვალებულზე იტყვიან: „ნათელში ამყოფოს ღმერთმა“. ამბობენ სხვა ფორმითაც: „ღმერთმა გაანათლოს“. შინაარსობრივად ეს სიტყვები სხვადასხვა მნიშვნელობისაა, თუ ერთსა და იმავეს ნიშნავს?

ამ სიტყვებით უფლის წინაშე ვითხოვთ, რომ ადამიანი იყოს იქ, «სადაც მართალნი განისვენებენ», ანუ მიეახლონ ღვთის ნათელს. ორივე გამოთქმა ერთი და იმავე მნიშვნელობისაა.

როცა დავქორწინდი, ოჯახის წევრებმა მითხრეს, ჯერ შენთვის მარხვა არ შეიძლებაო. მეც დავეთანხმე, ცოდვა ხომ არ ჩავიდინე?

მარხვა შეინახოთ თუ არა, ეს დამოუკიდებლად ან ოჯახის რჩევით კი არა, მოძღვართან შეთანხმებით უნდა გადაწყვიტოთ. ადამიანური სისუსტეებიდან გამომდინარე, მოძღვარს შეუძლია მარხვის შერბილებაზე კურთხევა მისცეს... რახან განიცდით, მიბრძანდით ეკლესიაში, თქვით ამის შესახებ აღსარებაში და ეზიარეთ. საერთოდაც, ოჯახურ პრობლემებზე ესაუბრეთ მოძღვარს - ეკლესიურობა გამაძლიერებელია ოჯახისა. მოძღვრის ლოცვა-კურთხევა თქვენი ოჯახის მომავალს კეთილად წარმართავს.

გრძნობს თუ არა გარდაცვლილის სული თავისი ახლობლების სიხარულს ან მწუხარებას? სიზმრად გამოცხადების დროს, მიცვალებულის საუბარი შეიძლება თუ არა აღვიქვათ რეალობად?

ღვთის ნება თუ იქნება იგრძნობს, მაგრამ სიზმრებზე დაყრდნობა დიდი უმადური საქმეა, რასაც არ გირჩევთ.

- როდესაც ეკლესიაში მიგვაქვს საკურთხი მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად, აუცილებელია თუ არა, ის ნაკურთხი მარილით იყოს დამზადებული?

არ არის აუცილებელი. შეგიძლიათ ნებისმიერი (მარხვისა და ხსნილის პერიოდების გათვალისწინებით) საზრდო მიიტანოთ ეკლესიაში და იქვე იკურთხება.

ცოდვად ხომ არ ჩამეთვლება დიდმარხვის დღეებში მოხვნა, დაბარვა, დათესვა... თუ ეს ასეა, მაშინ როგორ მოვიქცე?

რასაკვირველია, არ ჩაგეთვლებათ. დიდი მარხვის პერიოდი მონანიებისა და ბრწყინვალე აღდგომისათვის მომზადების დროა და არა მუშაობაზე უარის თქმისა. უფალმა თვითონვე მოგვცა მიწაცა და შრომის უნარიც და ის არ მოითხოვს თქვენგან ასეთ ხანგრძლივ პერიოდში შრომა შეწყვიტოთ. კვირადღეებში კი დიდმარხვის დროსაც, ისევე როგორც ყოველთვის, მოერიდეთ შრომას. უქმეა აგრეთვე, დიდი მარხვის ბოლო კვირა — ვნების შვიდეული. ეს ის კვირაა, როცა უფალი შეიპყრეს და ჯვარს აცვეს. ამ კვირის ყოველი დღე დატვირთულია სინანულით უფლის ვნების გამო: სასურველია, ამ დღეებში ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე იაროთ. სამუშაოს, რომელიც სასიცოცხლოდ არ არის აუცილებელი და მისი გაკეთება სხვა დროსაც შეგიძლიათ, ამ კვირაში ნუ შეასრულებთ... თუ გამოუვალი მდგომარეობა შეგექმნებათ, ანუ ისეთი რამ გიფუჭდებათ, რის აღდგენასაც მომავალში ვეღარ მოახერხებთ, შეგიძლიათ იშრომოთ, ოღონდ მოძღვრისგან კურთხევა აიღეთ.

ჩვენი დროის გმირი

ცხოვრება მგზავრობაა, მიახლებაა მარადიულობასთან, ჩვენ კი ძალიან ცოტას ვფიქრობთ ამაზე“- ეს სიტყვები 80-იანი წლების ერთ-ერთ სააღდგომო ეპისტოლეში წავიკითხე. მას შემდეგ ბევრჯერ მიფიქრია მის არსზე. მართლაც ჩვენ, ამ წუთისოფლის სტუმრები, მოვდივართ, ვგრძნობთ, განვიცდით, გვწყინს, გვიხარია... და ერთ მშვენიერ დღესაც აღმოვაჩენთ, რომ მგზავრობა დასრულდა. უკან მივიხედავთ და თუ აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი კვალი დარჩა, მადლიერების გრძნობა დაგვეუფლება, თუ არა და... გვიანი იქნება თითზე კბენანი.

მინდა, მოგითხროთ კაცზე, რომლის ბიოგრაფიის დეტალებს ვინ ჩივის, გვარიც კი არ ვიცი, მაგრამ სამაგიეროდ ვიცი, რომ მისი დატოვებული კვალი იქნება ეტალონი გმირობის, ვაჟკაცობის და თავგანწირვისა...

თბილისი-ქვემო ქედის სამარშრუტო ტაქსის მძღოლზე მინდა მოგითხროთ. ჩვენი სოფლელები სულიკო ძიას ვეძახით. უკვე დიდი ხანია, ბატონი სულიკო თავაზიანობითა და ყურადღებით მგზავრების კეთილგანწყობას იმსახურებს. არც თუ ისე სახარბიელო გრაფიკი აქვს, არც მგზავრების სიმრავლით არის განებივრებული, მაგრამ თავის საქმეს მაინც ერთგულად ემსახურება.

ამ ცოტა ხნის წინ მისი მანქანით მგზავრობისას აღმოვაჩინე, რომ ბატონი სულიკო თურმე არა მხოლოდ კეთილსინდისიერი მძღოლი, არც მეტი, არც ნაკლები- ჩვენი დროის ლეგენდარული გმირი, გადამდგარი პოლკოვნიკი ყოფილა. ორ ვაჟთან ერთად იბრძოდა აფხაზეთის ომში. ტამიშთან შეტაკებისას ერთ-ერთი ვაჟი „მოყვარე მტრის“ მუხანათურმა ტყვიამ იმსხვერპლა. მრავალგზის ნაცად მეომარს, ჩვენი დროის ჯარისკაცის მამას ბედმა მძიმე ხვედრი არგუნა - საკუთარი ხელით ამოთხარა სხვა ბიჭებთან ერთად შვილის ცხედარი და მშობლიურ მიწას დაუბრუნა. ბატონი სულიკო განუზომელი მწუხარებით მიამბობდა ტამიშთან დაღუპული ქართველი მეომრების აფხაზეთის მიწიდან საქართველოს მიწამდე განვლილ გზაზე. მათ შორის იყო ჩვენი თანასოფლელი 19 წლის იგორ ცაბაურაშვილიც. ძია სულიკომ იგორს საკუთარი შვილივით უპატრონა, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდით.

ქრისტეს აღდგომის დღეებში მინდა ქედი მოვიხარო ამ ბიჭების, მათი თანამებრძოლების და საერთოდ, სამშობლოს შეწირული უმანკო ზვარაკების წინაშე. მათი გმირული საქმეები მარადჩაუქრობელი კელაპტარივით იკაშკაშებს და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს სიტყვების ჭეშმარიტებაში:

„გმირებს ნუ შაეჯიდები,
სიკვდილო, დამარცხდებიო!“

ჭეშმარიტად! მათ ხომ თავისი უკვდავებით სიკვდილი დაამარცხეს!

P.S

ბატონო სულიკო, ბოდიშს გიხდით, სათქმელი თუ ისე ვერ ვთქვი, როგორც თქვენს გმირულ წარსულს ეკადრება, მაგრამ ერთი რამ კი დავასკვენი, რომ თქვენნაირი ადამიანების მხრებზე დგას უახლესი საქართველოს ისტორია. გავა ათეული წლები და თქვენს შესახებ დაწერენ სახელმძღვანელოებში, თქვენი და თქვენი შვილების მაგალითზე გაიზრდებიან თაობები. თქვენ ჩაწერეთ ისტორიის ცრემლიანი, მაგრამ გმირული ფურცელი, თქვენ ხართ ნიმუში ადამიანისა, ვისაც უნდა ბაძავდნენ, ვისგანაც უნდა სწავლობდნენ! დიდხანს იცოცხლეთ თქვენს ოჯახთან ერთად, გფარავდეთ იესო ქრისტეს მადლი!

ქვემო ქედის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
ლელა დარძული

სპორტი

ძიუდო

27 აპრილს, ქ. ახმეტაში ჩატარდა კახეთის რეგიონალური პირველობა ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობისთვის ჭიდაობა ძიუდოში. დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა იასპარეზეს ამ ტურნირზე და შემდეგი საპრიზო ადგილები დაიკავეს.

პირველი ადგილი 73 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა ცოტნე წიკლაურმა, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი 66 კგ. წონით კატეგორიაში გახდა ბაჩო ჭიკაიძე. მწვრთნელი კახა წიკლაური.

თავისუფალი ჭიდაობა

27-28 აპრილს ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის-ნოდარ ბაკურაშვილის სახელობის VI მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1996-97 წლებში დაბადებულებს შორის. დედოფლისწყაროელმა სპორტსმენმა გიორგი კარატიელმა (42 კგ. წონითი კატეგორია) დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი. მისი მწვრთნელი გახლავთ დავით გონაშვილი.

ბიბლიის ტურის გამარჯვებულები

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრი წლების განმავლობაში აცხადებს კონკურსს სახელწოდებით „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლამ წელს პირველად მიიღო ამ კონკურსში მონაწილეობა. გოგონებმა ჩამოაყალიბეს გუნდი ასეთი შემადგენლობით: სოფიო მენთეშაშვილი-გუნდის კაპიტანი, ხათუთი ცისკარაული, ლიკა ლოლაშვილი, ქეთი ბერიძე, ქეთი შანშიაშვილი და მარიამ ნიკვაშვილი. ყველაფერი დაიწყო მათი ინიციატივით. თვითონ გადაწყვიტეს, მიეღოთ მონაწილეობა კონკურსში, მაგრამ არა მხოლოდ გამარჯვებისთვის, არამედ მიზნად დაისახეს, უკეთ შეესწავლათ ბიბლია. თითოეული გოგონა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამ საქმეს. მეცადინეობდნენ ჯგუფურად, ხელმძღვანელის გარეშე. ჩვენი სკოლის დირექტორი ია ლაპიაშვილი ყოველთვის გვერდში ედგათ და მისი ხელშეწყობით ხდებოდა ყველაფერი. პირველი ეტაპი ჩატარდა 26 მარტს ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში, სადაც მონაწილეობდნენ №1, №2 და ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლები. პირველ ტურში გაიმარჯვა №2 საჯარო სკოლის გუნდმა და გადავიდა მეორე ტურში +1 ქულით. მეორე ტური ჩატარდა 18 აპრილს საგარეჯოში, სადაც წარდგენილნი იყვნენ ქ. დედოფლისწყაროს №1 და №2, ქ. საგარეჯოს №2 და ყვარლის საჯარო სკოლები. აქაც არ დაიშურეს გოგონებმა მონდომება და გამოავლინეს სათანადო ცოდნა და ისინი 16 ქულით გადავიდნენ ნახევარფინალში უძლიერეს გუნდთან ერთად, რომელიც მხოლოდ 2 ქულით დაწინაურდა. წინ ფინალია. უფლის ნებით და გოგონების მონდომებით იმედი გვაქვს, რომ გავლენ ფინალში რეგიონალური მასშტაბით და გამარჯვებულები დაგვიბრუნდებიან.

ქ. დედოფლისწყაროს საჯარო სკოლის დირექცია

მოხუცთა თავშესაფრის ბინადართ აღდგომა მიულოცეს!

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეებმა ხელმძღვანელის, ნელი შოშიაშვილის ინიციატივით, დედოფლისწყაროს სათნოების სახლის ბინადართ პასქები და პატარების ხელით დარგული ჯეჯილები მიართვეს.-„ამგვარი აქცია ჩემს აღსაზრდელებს უკვე ტრადიციად ექცათ, ყოველი აღდგომის დღის მოახლოებისას, ბავშვებთან ერთად მოვდივართ მოხუცებთან და ტკბილეული მოგვაქვს მათთან. ისევე, როგორც შარშან, წელსაც მოვედით, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მივულოცეთ და პასქებით დავასაჩუქრეთ ისინი.“-გვითხრა პედაგოგმა ნელი შოშიაშვილმა. თავშესაფრის ბენეფიციარებმა და მათმა დირექტორმა ციცო დარჩიაშვილმა მადლობა გადაუხადეს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებს და მათ პედაგოგს ყურადღებისთვის და საჩუქრისთვის, შემდეგ კი, მოხუცებმა ბავშვებთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები. თავის მხრივ მისასალმებელია ნელი მასწავლებლის მიდგომა-გაჭირვებული და მოხუცებული ადამიანის მიმართ ყურადღება ხომ ძალიან მადლიანი საქმეა. პატრიარქი გვასწავლის და გვიქადაგებს, პატივი ვცეთ უფროსებს, მშობლებს, მოხუცებს და მიუსაფრებს.

ლალი მეხრიშვილი

მადლიერება

ჩვენს სოფელს ძალიან კარგი ახალგაზრდა და ენერგიული რწმუნებული ჰყავს. მისი მოსვლის შემდეგ ბევრი რამ კეთდება სოფელში. მისი ინიციატივით ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი ტაძრის ასაშენებლად.

სოფელ გამარჯვების ახალგაზრდობის სახელით გვსურს მადლობა გადავუხადოთ გამგებელს გიორგი (გია) ჭინჭარაულს გაწეული ქველმოქმედებისთვის. მან უზრუნველყო სპორტული დარბაზის (ყოფილი კულტურის სახლის ტერიტორიაზე) კეთილმოწყობა(გაიყვანა დენი), მოამარაგა ის სპორტული ინვენტარით. იგი ხელს უწყობს მომავალი თაობის ფიზიკურ სიჯანსაღეს, ეხმარება მათ ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

უმრავლოს სოფელს გიასნაირი ქველმოქმედი და სულით ძლიერი ადამიანები.

ახალგაზრდობის სახელით:
გოჩა ფხიკლაშვილი, თემურ ბენაშვილი

გვიყვარს მშვენიერი გაზაფხული

ჩვეული საზეიმო განწყობაა №3 ბაგა-ბაღის დარბაზში. ღონისძიების თემაა „გვიყვარს მშვენიერი გაზაფხული“ გაზაფხულის შემობრძანებასთან ერთად ნაირფერად მოურთავთ ირგვლივ ყველაფერი, რაც გვაუწყებს წელიწადის ლამაზი დროს შემობძანებას. სხვადასხვა ყვავილის ფორმაში გამოწყობილი პატარები მოუთმენლად ელოდნენ ჯგუფის მასწავლებელს ნანა სეხნიაშვილს, რომელიც ყველას აუწყებდა ღონისძიების დაწყებას.

ქალბატონი ნანა სეხნიაშვილი, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ ატარებს ასეთ მშვენიერ ღონისძიებას და ლექსებით, ინსცენირებებით უნერგავს ჩვენს შვილებს სამშობლოსადმი სიყვარულს და თავდადებას, მშობლებისა და უფროსებისადმი მოკრძალებას და პატივისცემას.

ჩვენ, №3 საბავშვო ბაგა-ბაღის უფროსი ჯგუფის (5-6 წლიანთა ჯგუფი) მშობლებს გვინდა, უსაზღვრო მადლიერება გამოვხატოთ ნანა მასწავლებლისადმი, რომელიც თავს არ ზოგავს ჩვენი შვილების სწორი მეთოდოლოგიით აღზრდისთვის. ამიტომ უყვართ ის ასე ძალიან მის აღსაზრდელებს. უღრმესი მადლობა მას ამისთვის.

ასევე ღრმა პატივისცემას იმსახურებს ბაგა-ბაღის დირექტორი მაია გონაშვილი, რომელიც ყოველთვის თბილ და სასიამოვნო გარემოს უქმნის ჩვენს შვილებს. არ შეგვიძლია არ დავაფასოთ სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მაია ყოჩიაშვილის მზრუნველობა პატარებისადმი. იგი სულ ორიოდე თვეა, რაც სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორად დაინიშნა და მოსვლის დღიდანვე ვიგრძენით როგორც საკვების რაციონის, ასევე ბაგა-ბაღის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება.

და ბოლოს, გვსურს დიდი მადლობა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ირაკლი შიოლაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან ნატროშვილს, რომელთა პირადი ინიციატივით საქართველოში პირველად ჩვენი რაიონის ბაღებში გადასახადი გაუქმდა. ასევე მადლობა მათ იმისთვის, რომ გეგმიურ რემონტში ჩასვა ჩვენი №3 საბავშვო ბაღის შენობა. ვფიქრობთ, ახალი სასწავლო წლიდან ჩვენი შვილები მივლენ გალამაზებულ გარემოში, რაც მათ ძალიან გაახარებთ.

№3 ბაგა-ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფის მშობლების სახელით:
მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ელზა ხარაშვილი **და წევრები:**
ნანა ტოკლიკიშვილი, თამუნა ღორაშვილი.

ულოცავენ!

სპირიდონ პოპიაშვილს!
მანანა ბილიაშვილს!

გილოცავთ მეხუთე შვილის და ოჯახისთვის რიგით მეოთხე ბედნიერებას. იყავით ჯანმრთელები და მუდამ გახარებულები. მალე მეექვსე შვილიშვილის პაპა-ბებია გახდებით. ღმერთმა გაგამრავლოთ და გააძლიეროს თქვენი დიდი და ლამაზი ოჯახი. ნინოს და ვალერის ვუსურვებთ, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვეთ დღევანდელი სიყვარული,

ძმები: გელა, ვაჟა; **რძლები:**
ეთერი და ნონა ბილიაშვილები.

ულოცავენ!

ნინო პოპიაშვილს!
ვალერი მანგოშვილს!

გილოცავთ შეუღლებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდ სიყვარულს, რომელიც ქორწილით დააგვირგვინეთ ძალიან ლამაზ დღეს - ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულზე. გილოცავთ აღდომის ბრწყინვალე დღესასწაულს და ყველა ბედნიერ დღეებს, რომელსაც თქვენი ცხოვრების მანძილზე გაატარებთ. „ქრისტე აღსდგა!“ - უფალი გფარავდეთ, გამრავლდით და გაძლიერდით.

დიდი სიყვარულით შენი ბიძაშვილები:
ანა, ლევანი და დათო ბილიაშვილები.

ყურადღება

თელავში „ავთანდილ ყამბარაშვილის“ კლინიკა აწარმოებს გინეკოლოგიური დაავადებების ქირურგიულ მკურნალობას მაღალი კლასის ქირურგიული ტექნიკით. მაღალკვალიფიციური ქირურგები ჩაგიტარებენ ზოგადქირურგიულ დაავადებათა ოპერაციულ მკურნალობას. კეთდება ყველა სახის ურولოგიური ოპერაცია თანამედროვე მეთოდით, მათ შორის პროსტატის ტრანსურეთრალური რეზექცია (ე.წ. „ტური“), ოპერაციებს აკეთებს ურولოგიის ნაციონალური ცენტრის წამყვანი პროფესორი თემურ ჩიგოგიძე.

კლინიკაში გრანდიოზული ფასდაკლებაა, მშობიარობა 350 ლარი, საკეისრო 700 ლარი, ყველა სახის გინეკოლოგიური ოპერაცია 750 ლარი.

მისამართი: ქ. თელავი, ალადაშვილის ქ.6
ტელ: 0-350-23-33-66, 0-350-23-33-22.

ყურადღება

ქალაქ დედოფლისწყაროში, ბარათაშვილის ქუჩაზე (ჯარისწყალთან) **გაიხსნა**

კაფე-რესტორანი „ნიკა“

აქ თქვენ მოგემსახურებიან და გაგიმასპინძლდებიან მაღალ დონეზე შესანიშნავი ცხელი კერძებით. მივიღებთ შეკვეთებს ოჯახისათვის და ყველანაირი სუფრისათვის. **დარბაზი იტევს 100 ადამიანს.** დარეკეთ ტელეფონზე:

599 73 15 95

ამინდი — დედოფლისწყარო

შაბათი 04.05	კვირა 05.05	ორშაბათი 06.05	სამშაბათი 07.05	ოთხშაბათი 08.05	ხუთშაბათი 09.05	პარასკევი 10.05
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
22 ° 16 °	19 ° 17 °	20 ° 17 °	20 ° 16 °	19 ° 15 °	12 ° 11 °	14 ° 13 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბულალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K